# ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

## განკარგულება № 392

22 ნოემბერი
"___" _____ 2019 წ.

ქ. თბილისი

**ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოსა და ფიზიკურ პირ შალვა ასიტაშვილს (პ/ნ: 01035000716) შორის 2011 წლის 1 აგვისტოს გაფორმებული „ქ. თბილისის თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი მიყიდვის ფორმით ნასყიდობის შესახებ" ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის გამო დაკისრებული პირგასამტეხლოსგან შალვა ასიტაშვილის (პ/ნ: 01035000716) გათავისუფლების საკითხის შეთანხმების თაობაზე**

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 68-ე მუხლის პირველი პუნქტის „ლ" ქვეპუნქტის, 75-ე მუხლის „დ.ვ" ქვეპუნქტისა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2019 წლის 13 ნოემბრის №19.1191.1511 განკარგულების გათვალისწინებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გადაწყვიტა:

1. მიეცეს თანხმობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, მოქალაქე შალვა ასიტაშვილი (პ/ნ: 01035000716) გაათავისუფლოს „ქ. თბილისის თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი მიყიდვის ფორმით ნასყიდობის შესახებ" 2011 წლის 1 აგვისტოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის გამო დაკისრებული პირგასამტეხლოს - 24 009,6 (ოცდაოთხი ათას ცხრა ლარი და სამოცი თეთრი) ლარის გადახდის ვალდებულებისაგან.

2. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ., №6).

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძე